ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

18 ივლისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 134 (10303) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჟურნალისტები ამუშავდნენ

გბსულ ორშაბათს სიეტლში ჟურნალისტთა აკრედიტაცია დაიწყო. პრესის მუშაკებს შეკითხვები უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ორგანიზატორებს გამზადებული პასუხები. პირველი და უმთავრესი შეკითხვა ასეთია: მსოფლიო სპორტის „ვარსკვლავთაგან“ სიეტლში ჩამოსვლას ვინ აპირებს? ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს შეატყობინეს, რომ კარლ ლუისი უკვე დაბრუნდა ევროპიდან და სტარტებისთვის ემზადება. უპასუხოდ დარჩა ერთი შეკითხვა: რამდენს ითხოვს ლუისი 100 მეტრზე რბენაში გამოსვლისთვის და რა თანხას შეჰპირდნენ მას. ამ შეკითხვაზე ვერავინ გასცა პასუხი იმიტომ, რომ ორი-სამი კაცის გარდა არავინ იცის გარიგების პირობები. სამაგიეროდ აღინიშნა, რომ სიეტლში ალბათ ბევრი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდება.

მოცურავეთა შეჯიბრების ყურადღების ცენტრში იქნება (ამას ყველა სპეციალისტი მოუთმენლად ელის) ამერიკელი მათს ბიონდისა და სურინამელი ოლიმპიური ჩემპიონის ენტონ ჩესტის დასწრებული „დუელი“. საერთოდ კი, სიეტლის საცურაო აუზში თავს მოიყრის ბევრი უმაღლესი კლასის ოსტატი.

საორგანიზაციო კომიტეტში მუშაობს ერთი ცნობილი ეკონომისტი, რომლის პროგნოზებს ამერიკელები დიდად აფასებენ. ამ ეკონომისტის განცხადებით, თამაშების პერიოდში სიეტლს მოინახულებს 50 ათასზე მეტი ტურისტი, შემოსავალი კი 300 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. საინფორმაციო სამსახურის მონაცემებით ეს პროგნოზი, როგორც ჩანს, უტყუარია.

სიეტლი-90

მწვრთნელმა დაასახელა ნაკრების წევრები

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ნაკრებში, რომელიც 27-28 ივლისს კეთილი ნების თამაშებში გამოვა საასპარეზოდ, ფაქტობრივად, ქვეყნის ყველა უძლიერესი ათლეტი მოხვდა. ასეთ განმარტებას იძლევა გუნდის უფროსი მწვრთნელი ივანე იარიგინი. მათ შორის ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა სეულის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ვლადიკავკაზელი არსენ ფაძაევი. შარშან შვეიცარიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში იგი მაღალ წონით კატეგორიაში (74 კგ) გამოდიოდა და ფინალში დამარცხდა ოლიმპიურ ჩემპიონთან, ამერიკელ კენეტ მონდეისთან. ამჯერად 28 წლის ფაძაევი ისევ თავის წონას (68 კგ) დაუბრუნდა.

ფაძაევი, ისევე როგორც ოლიმპიადისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მახარბეკ ხადარცევი (90 კგ), აგრეთვე, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ადლან ვარაევი (74 კგ), კეთილი ნების პირველი თამაშების ჩემპიონები არიან და, ცხადია, ყოველმხრივ შეეცდებიან წლეულსაც გაიმეორონ ეს წარმატება. იარიგინის განცხადებით, ნაკრები უმთავრესად ოთხი შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდა: ეს შედეგებია: თბილისის საერთაშორისო ტურნირი, აშშ-ის ნაკრებთან სამატჩო შეხვედრები, მსოფლიო თასი (ჩატარდა ამერიკის ქალაქ ტოლიდოში) და ქვეყნის ჩემპიონატი.

სიეტლში საბჭოთა გუნდის მეტოქეები იქნებიან: ბულგარეთის, მონღოლეთის, კანადის, თურქეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეისა და, რასაკვირველია, ამერიკის მოჭიდავეები, რომლებიც შინ, როგორც წესი, მუდამ ძლიერად გამოდიან.

აი, ვინ მოხვდა ქვეყნის ნაკრებ გუნდში: 48 კგ — მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გნელ მეჯლუმიანი (ერევანი), 52 კგ — მსოფლიოს თასზე გამარჯვებული სერგეი ზამბალოვი (ულან-უდე), 57 კგ — ევროპის ორი ჩემპიონატის პრიზიორი რუსლან კარაევი (მახაჩყალა), 62 კგ — ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი სტეპან სარქისიანი (კიროვაკანი), 68 კგ — არსენ ფაძაევი (ვლადიკავკაზი), 74 კგ — ადლან ვარაევი (გროზნო), 82 კგ — მსოფლიო ჩემპიონი ელმადი ჟაბრაილოვი (მახაჩყალა), 90 კგ — ოლიმპიადის და მსოფლიო სამგზის ჩემპიონი მახარბეკ ხადარცევი (ვლადიკავკაზი), 100 კგ—ნაკრების დებიუტანტი ანდრეი გოლოვკო (ჩერკესკი), 130 კგ — ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი (თბილისი).

საქართველოს მმართველობა ბიბლიოთეკა საზაფხულო...

ცხრილებში, რომელთაც ჩვენს მკითხველებს ქვემოთ ვთავაზობთ, მოცემულია 1990 წლის საქართველოს X საზაფხულო სპარტაკიადის კომპლექსური შედეგები სპორტის 24 სახეობის შემდეგ. მეტი სიცხადისათვის გთავაზობთ ამ სახეობებს: თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, სინქრონული ცურვა, აკრობატიკა, ბალახის ჰოკეი (ვაჟები, ქალები), მრავალდღიანი ველორბოლა, ფარიკაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ძალოსნობა, მშვილდოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, ძიუდო (ვაჟები), წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, ნიჩბოსნობა (ბაიდარა, კანოე), ქართული ჭიდაობა, წყალბურთი, ცურვა, ლელობურთი, მძლეოსნობა, კალათბურთი (ქალები) და აფროსნობა.

ცხრილის ბოლოში მოყვანილ რაიონებს არა აქვთ ადგილები იმიტომ, რომ შეუფასებლები დარჩნენ (0 ქულა). შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღიათ ადიგენის, ასპინძის, წალკის, ახალქალაქისა და ყაზბეგის რაიონების გუნდებს.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ადგილი		სახეობათა რაოდენობა	ქულები
I ჯგუფი			
1	ქ. თბილისი	22	10526
2.	ქ. ქუთაისი	23	5172
3.	აჭარის ასსრ	23	4817
4	აფხაზეთის ასსრ	19	3728
5	ქ. რუსთავი	14	3023,5
6	სამხრ. ოს. აო	8	1267
II ჯგუფი			
1	ქ. გორი	9	1319,5
2	ქ.ზუგდიდი	7	1221
3.	ქ. ფოთი	4	911
4	ქ. ტყიბული	7	901,5
5	ქ. ჭიათურა	9	623,5
6	ქ. წყალტუბო	10	498,5
III ჯგუფი (რაიონები)			
1	ხობის	7	867
2.	ზუგდიდის	4	646
3	ვანის	10	561
4	ზესტაფონის	7	489,5
5	სამტრედიის	9	485,5
6	საჩხერის	5	402,5
7.	ოზურგეთის	5	399,5
8	მცხეთის	5	386
9	დუშეთის	3	371
10	ბორჯომის	3	347
11	ყვარლის	4	337
12	ლანჩხუთის	7	325
13	თელავის	7	318
14	ჩხოროწყუს	3	258,5
15	ლაგოდეხის	4	236,5
16	გარდაბნის	5	229,5
17	ჩოხატაურის	7	220
18	ხაშურის	4	203
19	საგარეჯოს	5	177,5
20	ონის	4	176
21-22	მაიაკოვსკის	4	169
	კასპის	5	169
23	გურჯაანის	6	120,5
24	მარტვილის	1	144
25	ახმეტის	2	120
26	გორის	3	115,5
27	ლენტეხის	1	96
28	მესტიის	1	86
29	ახალციხის	3	78
30	სენაკის	3	73
31	თერჯოლის	4	67,5
32	ხარაგაულის	4	60
33	ამბროლაურის	4	46
34	წითელწყაროს	2	43
35	თიანეთის	3	40
36	ხონის	3	26
37	ქარელის	3	22,5
38	ბოლნისის	2	13
39	მარნეულის	1	11
	აბაშის	1	0
	ბოგდანოვკის	1	0
	წალენჯიხის	1	0
	სიღნაღის	2	0
	თეთრიწყაროს	1	0
	დმანისის	1	0
	ცაგერის	1	0

საქართველოს თასის გათამაშება აკრობატიკაში

სად მიდიან სპეციალისტები?



● ინგა მეტრეველი, ეკა ბერიძე, ფატი გახიშვილი



● ვილი ვართანოვი, აფანასი იანაკოევი, სიმონ თუთბერიძე, სტანისლავ პეტროვი

საქართველოს აკრობატთა თასის წლევანდელ გათამაშებაში საკმაოდ უჩვეულო იყო ის, რომ კვარცხლბეკის მესამე საფეხური რამდენიმეჯერ ცარიელი დარჩა. როგორც მწვრთნელებთან საუბარში გავარკვიეთ, წლეულს აკრობატიკის ცალკეულ რგოლებში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ამის ერთ-ერთი და ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ ზოგიერთი აკრობატი ვეღარ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს და მწვრთნელები იძულებულნი გახდნენ მათ შელეოდნენ. მათს ადგილს უფრო ნიჭიერი და გამოცდილი სპორტსმენებით შეავსებენ. ეს ცვლილებები ცხადია, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. სპორტსმენთა „შეთანხმება“, ერთ ენაზე ალაპარაკება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. სწორედ ამის გამო ბევრმა თავი აარიდა დასახელებულ შეჯიბრებას. მათ შორის იყვნენ მწვრთნელ თამაზ ბუზიაშვილის აღზრდილები — საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ოთხეული. აქ ერთბაშად ორი აკრობატი შეიცვალა — საბაშვილისა და ახობაძის ადგილები დაიკავეს სლივკოვმა და ვასილჩენკომ. ძველი შემადგენლობიდან ბუზიაშვილი და ზაქარაშვილი დარჩნენ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა აზრით, ამ აუცილებელ ცვლილებას დადებითი შედეგი უნდა მოჰყვეს. ახალ შემადგენლობას შეუძლია რთული პროგრამის ათვისება, რაც მათ საბჭოთა კავშირის ნაკრებისკენ გაუხსნის გზას, ეს კი, თავის მხრივ, მსოფლიო ასპარეზზე გასვლის პერსპექტივას იძლევა.

სრულიად სხვა მიზეზით დაიშალა საკავშირო ახალგაზრდული თამაშების მესამე პრიზიორების ბეროზაშვილისა და ვარდიძის წყვილი. ამ შემთხვევაში მიზეზი სპეციფიკურია: ვარდიძე გაიზარდა, სიმაღლეშიც მოიმატა და წონაშიც.

მწვრთნელი დავით გაგოშვილი: — ამჯერად ბეროზაშვილთან ფატი ფანიაშვილი ვარჯიშობს. გოგონა ტანვარჯიშიდან გადმოვიყვანეთ. მან საკმაოდ კარგად აუღო ალღო ახალ ამპლუას და, ვფიქრობ, მალე თავს გამოიჩენს.

გაურკვეველი მიზეზით დაიშალა ერთ-ერთი უძლიერესი წყვილი: ქათამაძე — ცეცხლაძე (ბათუმიდან. მწვრთნელი ნელი აფაქიძე). სრულიად მოულოდნელად, თურქეთში კომერციული ტურნეს შემდეგ ცეცხლაძემ სპორტს თავი დაანება.

როგორღაც გართულდა შერეულ წყვილთა შორის კახა კუხალეიშვილისათვის პარტნიორის მოძებნა. მისი თანამეწყვილე ირმა ოვოიანი, „ლელოს“ მკითხველს ალბათ ახსოვს, მსოფლიო ჩემპიონებთან ნატალია ანისიმოვასთან და ინგა გიორგობიანთან ვარჯიშობს და ახლა-

იხ. მე.2 გვ

„იბერია“— პოლონეთში

მკითხველმა იცის, რომ ამხანაგური საწვრთნელი მატჩებისა და ერთობლივი საწვრთნელი ციკლის გამართვის მიზნით პოლონეთში სტუმრად იმყოფებოდა თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელთა კოლექტივი.

თბილისელმა ფეხბურთელებმა, ხელშეკრულების თანახმად, პოლონეთში ივარჯიშეს და ამხანაგური შეხვედრები ჩაატარეს აქაურ ცნობილ გუნდებთან. „იბერია“ პირველად ქალაქ კატოვიცეში შეხვდა ადგილობრივ „კატოვიცეს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0, შემდეგ გაიმართა მატჩი პოლონეთის არაერთგზის ჩემპიონთან ქ. რუხის „ხოჟუვთან“. ეს შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 1:0. ბოლოს, 15 ივლისს თბილისელები შეხვდნენ ქ. ბიტომის „სუომბიერკის“ და მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 3:1. 17 ივლისს თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელები შინ დაბრუნდნენ.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტსახკომმა საკავშირო კატეგორიის მხჭის წოდება მიანიჭა:

კლასიკურ ჭიდაობაში — ვაჟა გოგიაშვილს (თბილისი, „შევარდენი“).

ტყვიის სროლაში — თენგიზ ლეკიშვილს (თბილისი, „შევარდენი“).

გაერთიანდა 11 ფინალისტი

მანილაში (ფილიპინები) დამთავრებულ მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ასპარეზობაზე მხოლოდ ბოლო, მე-13 ტურმა დაასახელა ის 11 მოჭადრაკე, რომლებიც პრეტენდენტთა ტურნირში გააგრძელებენ ბრძოლას. აი ისინიც: ბორის გელფანდი, ვასილი ივანჩუკი — 9-9 ქულა, ვისვანათანი ანანდი (ინდოეთი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 8,5-8,5, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), დიულა საქსი (უნგრეთი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ალექსეი დრეევი, ლეონიდ იუდასინი, სერგეი დოლმატოვი (სამივე — საბჭოთა კავშირი) — 8-8.

სად მიდიან სპეციალისტები?

(დასასრული)

ხან საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც მოიპოვა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ შერეული წყვილების მომზადებაში შექმნილი ვაკუუმი. შეიძლება ითქვას, ეს რგოლი ჩვენი ქართული აკრობატიკის „აქილევსის ქუსლია“. წლების განმავლობაში ამ რგოლში სარბიელზე მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები გამოდიოდნენ. დღეს ამ მხრივ პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა. ჯერ იყო და ამ რამდენიმე წლის წინ ეკონომიკური პირობების გამო მწვრთნელობას თავი დაანება საკავშირო მასშტაბის ერთ-ერთმა საუკეთესო სპეციალისტმა ელგუჯა ბითაძემ. სულ ახლახან უფროსი კოლეგის გზას დაადგა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონების ალ. ხალეიშვილისა და ოვოიანის მწვრთნელი გია მახარაშვილიც — მეტროშენში (?!) დაიწყო მუშაობა, რადგან სამ-ოთხ წელიწადში ბინის მიცემას დაპირდნენ.

ვფიქრობთ, საკმაოდ საგულისხმო ფაქტებია, სხვათა შორის, არა მარტო ამ სფეროში, იმ დროს, როცა „რესპუბლიკას ასე უჭირს სპეციალისტები, ისინი თვალსა და ხელს შუა იკარგებიან. ეს, ცხადია, დიდ ავლენას ახდენს სხვადასხვა დარგის წინსვლა-განვითარებაზე.

მატერიალური მხარეა იმის მიზეზიც, რომ სკოლადამთავრებულ სპორტსმენთაგან უმეტესობა თავს ანებებს ვარჯიშს. გვინდა თუ არა, აქ სიტყვა „სამწუხაროდ“ აღარ გამოგვადგება. სპორტისადმი მომზმარებლური დამოკიდებულება დიდი ხანია გაჩნდა. საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, სანამ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობასა თუ სხვა ასევე მნიშვნელოვან შეღავათებს ელოდება, სპორტსმენი თავს არ ზოგავს, ზოლო შემდეგ, როდესაც ამ მხრივ პერსპექტივას ვეღარ ხედავს, სხვა გზას ეძებს. არადა, ძნელია მათი გამტყუნება— თანამედროვე სპორტი სპორტსმენისგან პროფესიულ მიდგომას, დიდ დატვირთვას მოითხოვს. დღეში ორჯერ რამდენიმე საათს ჭანცის გაწყვეტამდე ვარჯიშისთვის, შესაბამისი თუ არა, გარკვეული მატერიალური ანაზღაურება მაინც უნდა ჰქონდეს. ასეთი პრივილეგიები მხოლოდ და მხოლოდ რჩეულებს აქვთ, მარტო მშობლების იმედზე ყოფნა კი თავმოყვარე კაცისთვის, ცხადია, სათაკილოა. არადა, ზოგიერთი სწორედ „სიმწიფის“ პერიოდში „იხსნება“ და ბევრი საოგებლობაც შეუძლია მოუტანოს გუნდს...

ზემოთ აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, შეჯიბრება საკმაოდ დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში წარიმართა. ეს განსაკუთრებით ქალთა სამეულებზე ითქმის, სადაც თასისთვის ბრძოლაში თბილისელ აკრობატებს კარგად აუბეს მხარი ქუთაისელებმა (აქვე უნდა ვთქვათ, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები — ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა და ირმა ოვოიანი, აგრეთვე ამავე ტიტულის მფლობელები ჯგუფურ ვარჯიშში —ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი, ნიკოლოზ მუედლიძე.

ისინი ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან, რადგან ახლო მომავალში მათ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში მოუხდებათ გამოსვლა. საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს გია კაკაშვილის აღზრდილებმა — ინგა მეტრეველმა, ეკა ბერიძემ და ფატი გასიაშვილმა (47,15). საკმაოდ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა მწვრთნელის, მსოფლიოს ექსჩემპიონ მაია შილაკაძის შეგირდების — ლალი მეტრეველის, რუსუდან ჯონიაშვილის და მაია კენჭაძის (46,76) დაკავებული მეორე ადგილი. მესამე ადგილი დაიკავეს ქუთაისელებმა — ირმა ხაბულიანმა, ლალი ფურცხვანიძემ და ლელა ჯიშკარიანმა (46,26).

ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში თასის მოპოვება არ გასჭირვებიათ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს ვილი ვართანოვს, აფანასი იანაკოევს, სიმონ თუთბერიძეს და სტანისლავ პეტროვს (46,52, მწვრთნელი ალექსანდრ მავრანგელოვი). მათ სოლიდურ ქულათა მარაგით ჩამოიტოვეს მომდევნო ადგილზე გასული რუსთაველთა ოთხეული: გელა შაროვი, შალვა სამხარაძე, მირიან ტოკლიკიშვილი და რევაზ ბაწაშვილი (44,38).

ქალთა წყვილების შეჯიბრებაში ქუთაისელებმა ლალი დიაკონიძემ და თამარ მორალიშვილმა (46,36. მწვრთნელი თამარა ლაზარევა) ასევე დიდი უპირატესობით დაამარცხეს თბილისელი აკრობატები მაია მელიაშვილი და ლალი შალიაშვილი (41,79).

ვაჟთა წყვილებში უთანაბრო ბრძოლა გაიმართა თბილისელ აკრობატებს ზვიად ხუციშვილ — ვახტანგ თოფლაძესა (45,05. მწვრთნელი გია კაკაშვილი) და ქუთაისელ გოგი ცერცვაძე—გია ნემსაძეს (41,99) შორის. მათ ასეთივე თანმიმდევრობით დაიკავეს I-II ადგილები. აღსანიშნავია, რომ ვაჟთა წყვილების შეჯიბრების მეორე დღეს საასპარეზოდ თვითნებურად არ გამოცხადდა თბილისელთა მეორე წყვილი ზაზა ნინუა — ზვიად კვაჭაძე. ეს ფაქტი საკმაოდ უჩვეულოა ანალოგიურ შეჯიბრებათა ისტორიაში, რადგან აკრობატები დისციპლინით ყოველთვის სამაგალითონი იყვნენ. ვფიქრობთ, მწვრთნელები სათანადოდ შეაფასებენ ამ ფაქტს.

შერეულ წყვილთა შორის გამარჯვებულთაგან ქუთაისელი თეა კვერნაძის პარტნიორი იყო თბილისელი გია ვერესაშვილი (46,68). მეორე ადგილზე გასულმა გია შაჩოვმა და ნინო როსტიაშვილმა (37,82, რუსთავი) მათ ფაქტიურად წინააღმდეგობა ვერც გაუწიეს.

სამაგიეროდ შეჯიბრების დამთავრებამდე გაურკვეველი იყო, ვინ დაისაკუთრებდა თასს მხტომელ ვაჟთა შორის. ოდნავი წაფორხილებაც კი საკმარისი იყო, რომ ლიდერი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩენილიყო. საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა გია ხეთაგურმა (45,895, მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი). მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ როლანდ მეტრეველი (45,58) და ხვიჩა ფარესაშვილი (45,03. სამივე — თბილისი).

მხტომელ ქალთა შორის წარმატებით იასპარეზეს აჭარელმა სპორტსმენებმა ხათუნა ცაავამ (42.29) და რუსუდან თურმანიძემ, ოსეთ-თასი ჯუმბერ ლაშხის აღზრდილმა ნინო ჯავჯავაძემ მოიპოვა (42,65). აჭარელი სპორტსმენები განსაკუთრებით იმიტომ გამოვყავით, რომ ასეთი შედეგებისთვის, რამდენადაც მახსოვს, მათ არასოდეს მიუღწევიათ. როგორც ჩანს, შესაფერისმა სავარჯიშო პირობებმა და მწვრთნელთა თავგამოდებამ შესაბამისი შედეგიც გამოიღო...

წერილის ბოლოს მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სპორტსაზოგადოება „მართვეს“ სპორტის სასახლის სატანვარჯიშო ფიცარნაგზე (შეჯიბრება იქ ტარდებოდა). საქმე ისაა, რომ ამ ფიცარნაგმა რამდენიმეჯერ საკმაოდ მხიარული განწყობილება გამოიწვია— შეჯიბრების დროს სპორტსმენებს ფეხი მწყობრიდან გამოსული ხალიჩის ქვეშ უვარდებოდათ. გარდა ამისა, ფიცარნაგი ალაგ-ალაგ ჩანგრეულია, რაც, ცხადია, ასევე უარყოფითად მოქმედებდა აკრობატთა გამოსვლებზე, იმედი გვაქვს, სასახლის დირექცია დროულად მოაგვარებს ამ გადაუდებელ საქმეს.

ჯემალ კასრაძე

ავტორის **ფოტოები.**



● **ზვიად ხუციშვილი, ვახტანგ თოფლაძე.**

● **ნინო ჯავჯავაძე, ელგუჯა ხეთაგური.**

● **ლალი დიაკონიძე, თამრიკო მორალიშვილი.**



● **გია ვერესაშვილი, თეა კვერნაძე.**

ქართული პრესა წერდა...

ყმენობა და მუშტი-კრივი, ჭიდაობა...

აჰა, კიდევ ერთი ჩვეულება, რომელიც თან და-თან ვარდება.

ამ ოცი, ოცდაათი წლის წინათ, თფილისის მუშტი-კრივში თითქმის მთელი ქალაქის ხალხი იღებდა მონაწილეობას; ერთი მხრით ზემოუბნელები; მეორე მხრით ქვემო უბნელები დგებოდნენ და ნელ-ნელა ცოტ-ცოტათი მიჰყვებოდნენ მუშტების ქნევას.

უწარჩინებულესნი პირნი მაშინდელ ქართველებში არ თაკილობდნენ, რომ ამ გვარის ხალხის ქეიფში მიეღოთ მონაწილეობა: კრივი რო გაცხარდებოდა, ესენი წინ მიუძღოდნენ, ან უკანდამ ამხნევებდნენ მოკრივეებს და ხან თვითონაც ჩაერეოდნენ.

ყეენობა ხომ რაღა!

დიდ-მარხვის ორშაბათს ყველა დუქნები დაიკეტებოდა. ვირზე შებრძანებულ, ნახშირით გამურულ ყეენს რამდენიმე ათასი კაცი მისდევდა.

მაშინ თითქმის არავინ გამოჩნდებოდა, რომ ყეენის ამალის დანახვის დროს ცხვირი აეწია და ზიზღით ეთქვა: „რა ბარბაროსული ჩვეულებაა? მიკვირს რატომ არ აღუკრძალავენ?“.

ამ კვირას ანჩისხატის უბანში რამდენიმე ასი კაცი შეიყარა და ერთი-ორი მუშტი გაიქნიეს...

წლევანდელი ყეენის ნახვა საოდობა იყო: არც თვითონ ყეენი რიგიანი, არც მისი ამალა, არც ზურნა...

სადღაა ის ძველებური ლაზათიანი მუშტის კრივი! სადღაა ადრინდელი გაცხარებული ყეენობა!

ჩვენ გავნთლდით, ცივილიზაციის გემო ვიგემეთ, გონება გაგვეხსნა... აბა ამისთანა ხეპრული, უაზრო ხალხის ქეიფი რათ მოგვეწონება, რათ დააკმაყოფილებს ჩვენს ესთეტიურს გემოვნებას?!

მართალია კეტებითა და ქვებით შეზავებული კრივი მოსაწონი არ იყო; მაგრამ, ისე, ხელ და ხელ ჩარევა, თუნდაც რომ კრივის შემდეგ, რამდენსამე ათს თავლეში დალურჯებული ჰქონდა და გვერდები კარგა ლაზათიანად დაზელილი, — არა უშავდარა; ამ გვარი კრივი, სხვა არა იყოს რა, იმითი იყო პატივსაცემი რომ იმ დროს ხალხის ერთი უვნებელი ჩვეულებათაგანი იყო.

ყეენობას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ხალხი ამბობს, რომ ამ დღეს ქალაქელებმა ერთ ყეენზე გაიმარჯვეს, დაიჭირეს, ვირზე შესვეს, ქუჩებში აატარ-ჩამოატარეს შესარცხვენად და მერე მტკვარში ჩააგდესო.

ამ გვარი ისტორიული ფაქტების შენახვას და ხალხში გავრცელებას უნდა ვცდილობდეთ ჩვენ.

ისტორიული მატიანებითა და ბრძნული ისტორიკოსების თხზულებებით კი არ ვრცელდება და არ ინახება ხალხში თავის წარსული ცხოვრების ცოდნა, თავის ისტორიული ვინაობა; მხოლოდ ამ გვარი გადმონაცემებით, ამ გვარი ჩვეულებებით ინახება...

ს. მესხი (სერგეი მესხი)
„დროება“ 1875 წ. 26 თებერვალი (24)

„ბუშინწინ“

„ბუშინწინ სამშაბათ საღამოს ძველ დამოუნის მახლობლად, ჭიდაობა გაიმართა და ჩვენი ხალხისათვის საყვარელ დროს გატარებას სამი ათასამდინ ხალხი მოაწყდა საყურებლად. ორი მოჭიდავე გამოვიდნენ მოედანზე: ჩვენი ქალაქის კარგათ მცნობი გლდანელი ბიჭი და ერთიც თიონელი, რომელიც როგორც ამბობენ, კახეთში, ალავერდობაზე, განთქმულ მოჭიდავედ ითვლებაო.

დაჰკრეს მეზურნეებმა ჭიდილის ზურნა და ერთი ერთის მხრით გამოვიდა წრეზედ, მეორე მეორისა. გლდანელის გამოსვლის ნახვა ერთრამედ ღირდა: ახალგაზრდა, ლამაზი, ჩასკვნილ-ჩასხმული ბიჭი მხიარულად, დამიდებულად, მხნედ გამოვიდა, შეტრიალდა და მივარდა თავის მოწინააღმდეგეს, რომელიც დინჯად, ზლაზნით მოძრაობდა ფართო წრეში. ორჯერ მივარდა გლდანელი თავის მოპირდაპირეს ხელის წასავლებად და ორივეჯერ თიონელმა უკან დაიხია. მესამედ, ერთმანეთის ხელის-ჩავლება და თიონელისაგან სარმის გაკეთება ერთი იყო; გლდანელმა მარჯვედ აიცდინა ფეხი და იმ წამსვე თავის მხრით ერთიმეორედ სარმა უქნა. თიონელმა ჩაიჩოქა და ცალი მხარი დაჰკრა მიწას. მოცავდნენ მომხრეები, შეიქნა არეულობა და ბოლოს მოჭიდავენი გააშველეს.

— არ დაუცია, არაო! ჰყვირიან თიანელის მომხრენი.

— დაცემულია! დაცემულია! ამტკიცებდნენ გლდანელის მომხრენი.

ზოგიერთები თხოულობდნენ, მეორედ დავჭიდოთო, მაგრამ გლდანელის მომხრეები არ დათანხმდნენ.

ჭიდილის სპეციალისტები ამტკიცებდნენ: თიანელი ბიჭი ნამდვილად არ დაცემულაო, არ დამარცხებულაო, მაგრამ გლდანელი კი მაინც გამარჯვებულად უნდა ჩაითვალოსო (?)“

„დროება“, (1882 წ., 27 მაისი) (№107).

„ბუშინწინ, ოთხშაბათს, ხელმეორედ გაიმართა დიდუბეში, ჭიდაობა თიონელ და გლდანელ ბიჭს შუა. აქაც დიდი ხალხი მოაწყდა. თუ დამოუნასთან შებმა ამ ორ მოჭიდავისა საეჭვოდ გათავდა, აქ კი ამის თქმა არ შეიძლება: ერთმანეთის დატაკება და თიონელის ბიჭის წაქცევა ერთი იყო.

ჭიდაობის მოყვარეებმა ოცი თუმანი მოაგროვეს აქვე და გამარჯვებულ გლდანელს აჩუქეს. ამბობენ, ეს გლდანელი, რომელიც ამ ჟამად სულ 21-22 წლის ბიჭია, მეორე ხიზანბარელი შეიქნებაო, ამის მჯობნელი ბიჭი ძნელად თუ გამოვიდეს ახლაო“.

„დროება“, 1882 წ., 28 მაისი (108).

„ბუშინწინ ქალაქელ მოჭიდავემ გლდანელმა კიდევ ერთი მოჭიდავე იმსხვერპლა. ჭიდაობის მოყვარეთ ჩამოიყვანეს ქართლში განთქმული ფალავანი რენელი და დიდუბეში გამართეს ჭიდაობა. გლდანელმა სულის მობრუნებაც კი არ აცალა თავის მოპირდაპირეს; წრეში გამოსვლა... სარმის გამოკვრა და რენელის დაცემა ერთი იყო“.

„დროება“, 1882 წ., 6 ივნისი (№116).

შეკრიბა
სულიკო ნუცუბიძემ.

ლაბტის წრეში

მართლა აღარაფერი გვენაღვლება?

ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ, რომ საქართველოში, მის დედაქალაქშიც კი ძალზე ცოტაა სპორტული ბაზები, რომელიც მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი მოზარდებისთვის და ახალგაზრდებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ერთ სულ მოსახლეზე სპორტული ფართობის საერთო მოცულობის შეფარდებით თბილისი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ქვეყნის ქალაქებს შორის.

უკვე კარგა ხანია თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე ძველი სტუდ-ქალაქის მოპირდაპირე მხარეს ეს სპორტული მოედანი, რომელსაც ხურათზე ხედავთ, ავტოსადგომად იქცა. რა ხდება? სად არის რაიონის ხელმძღვანელობა, სახლმმართველობა, რაიონის სპორტკომიტეტი, ნუთუ მართლა ვერავინ ხედავს გამზირიდან ხელისგულივით რომ მოჩანს ავტოსადგომად ქცეული სპორტული მოედანი?

თუ ვხედავთ და მართლა აღარავის აღარაფერი გვენაღვლება?

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ივლისი 1990

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „დილა“ (ბორი) 1:0 (1:0)

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 16 ივლისი.

„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიავშვილი, ხამხარაძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე, ტარტარაშვილი, შალამბერიძე (ჩხეიძე), უულიაშვილი, ყიფიანი (კაკლაშვილი), ქობელაშვილი, მინაშვილი.

„დილა“: ჩოჩიევი, ტაბატაძე (კოშკაძე), გაგნიძე, ქობესოვი, ანიაშვილი, მელქაძე, მარეხაშვილი, გაზაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, ხორგუაშვილი.

მსჯელები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), თ. ლაცაბიძე, უ. ფურცელაძე (ორივე — თბილისი).

ჯერ გაფრთხილეს, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გაძევეს კ. კოპალეიშვილი.

ამ მატჩში თუკი ვინმეს ეკუთვნოდა საუკეთესო მოთამაშის პრიზი, ერთ-ერთი კანდიდატი თბილისელი კოპალეიშვილი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, თამაშის 85-ე წუთზე დროის განზრახ გაყვანისთვის იგი ჯერ გააფრთხილა, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გააძევა ჯ. წერეთელმა.

მანამდე კი თამაში საინტერესოდ წარიმართა, პირველი ტაიმი „შევარდენისა“ იყო. მატჩის დაწყებისთანავე ყიფიანი-ქობელაშვილი-მინაშვილის კარგად გათამაშებული კომბინაცია უშედეგოდ დამთავრდა, შემდეგ რამდენჯერმე ყულიაშვილმა შეუქმნა თავსატეხი მეკარე ჩოჩიევს, 21-ე წუთზე კი კვლავ ყულიაშვილის სოლო რეიდი კარგად გააგრძელა მინაშვილმა, რომელმაც დროზე მიაწოდა ქობელაშვილს და ანგარიშიც გიახსნა.

გორელები დროდადრო უტევდნენ თბილისელთა კარს. მათ იერიშებს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა, ამიტომაც რეალური საფრთხე არ შექმნილა დოლიძის კართან, მეორე ტაიმში სტუმრები გააქტიურდნენ. ნეფარიძე, მელქაძე, ხორგუაშვილი ზვერავდნენ თბილისელთა საჯარიმოს, კარშიც ძლიერად ურტყამდნენ, მაგრამ მასპინძელთა მეკარე ყოველთვის ხელსაყრელ პოზიციაში ხვდებოდა ბურთს.

ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მომენტი იყო 55-ე წუთი, როცა ქობელაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, უხერხული პოზიციიდან დაარტყა და ბურთი სულ ცოტა მანძილიდან ასცდა კარს.

პირველ ტაიმში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ თამაშში. „შევარდენმა“ I წრის ბოლო მატჩში (ეს შეხვედრა 1 ივნისს უნდა გამართულიყო) 3 ქულა მოიპოვა და კიდევ ორი საფეხურით აიწია სატურნირო ცხრილში.

ინგა ჩახვაშვილი.

„ბათუმი“ (ბათუმი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 2:1 (0:0)

ბორი. ცენტრალური სტადიონი. 16 ივლისი.

„ბათუმი“: **მამინაშვილი, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ზედანია, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, შანიძე, ტუღუში, მაისურაძე.**

„სანავარდო“: **თოდაძე (გამყრელიძე), თამაზაშვილი, ვაშაკიძე, ჭყონია, თვალბეიშვილი, რუხაძე, ბაბუნიძე, ამბიძე (ხუჭუა), დადუნაშვილი, გოგაძე, კოტრიკაძე.**

მსჯელები: ე. ხილაგავა, ვ. ეჯიბია, მ. მალალურიძე (ყველა — თბილისი).

თამაში უინტერესოდ დაიწყო და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ასე გაგრძელდა, თუ არ ჩავთვლით ბათუმელთა — ტუღუშის და ზედანიას — იერიშებს. პირველ ნახევარში მეტოქეებს კარის აღების რეალური მომენტი არ შეუქმნიათ.

მეორე ნახევარი ორივე გუნდის აქტიურობით დაიწყო. შემდეგ თანდათან გამოიკვეთა ბათუმელთა უპირატესობა, თუმცა ცალკეულ ეპიზოდებში სამტრედიელები ტოლს არ უდებდნენ თავიანთ „სიმბოლურ“ მასპინძლებს. ანგარიში მხოლოდ 84-ე წუთზე გახსნა მაჭუტაძემ, ორიოდე წუთში კი ზედანიამ მეორე ბურთიც გაიტანა.

სამტრედიელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ისინი ბოლომდე იბრძოდნენ და თამაშის დამთავრებას აღარაფერი უკლდა, როცა რუხაძემ შეძლო პრესტიჟის ბურთის გატანა.

ბათუმელებმა გაიმარჯვეს და ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში ლიდერებად გვევლინებიან, ვიდრე გაირკვევა „იბერია“—„სანავარდოს“ შეხვედრაში გამარჯვებული.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ კორ.

„შევარდენი-1906“ — „დილა“. ა. კოკლამაზაშვილის ფოტო.

ფეხბურთი დაიბადა ინგლისში, ფილატელია

სპორტულ ფილატელისტთათვის ალბათ იშვიათობას წარმოადგენს საფოსტო მარკა, რომელზეც ფეხბურთელი და ბურთი პირველად გამოჩნდა. მას საკმაოდ ხანდაზმული თარიღი უზის — 1928 წელი. მისი დაბადების ადგილი ჰოლანდიაა. ამსტერდამში იმ დროს ტარდებოდა IX ოლიმპიური თამაშები, სადაც ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს ურუგვაელმა ფეხბურთელებმა. ასე რომ, გამართლებაც ჰქონდა გადაწყვეტილებას — 1930 წლის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ ამ ქვეყანაში ჩატარებულიყო. ევროპის ქვეყნებმა ჯერ ბოიკოტი გამოუცხადეს ამ ღონისძიებას, მაგრამ ოკეანე მაინც გადაცურა ოთხმა ევროპულმა გუნდმა — საფრანგეთმა, ბელგიამ, იუგოსლავიამ და რუმინეთმა.

პირველ მსოფლიო ჩემპიონატს, რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი ფილატელისტური სუვენირები მოჰყვა, რომელთაგან ორი ურუგვაელი მარკაა აღსანიშნავი. ერთზე წარწერაა: „1930 წელს ევროპა და ამერიკა ასპარეზობდნენ ფეხბურთის ჩემპიონატში. 17 მაისი. 1930. მონტევიდეო“; მეორეზე — „მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. 1930“.

ფეხბურთში მეორე მსოფლიო ჩემპიონატმა, რომელიც ინგლისში გაიმართა, კიდევ მრავალი საფოსტო მარკა წარმოშვა. ამ დროისათვის 57-მა სახელმწიფომ გამოუშვა 160 მარკა და 300-ზე მეტი ბლოკი.

საბჭოთა კავშირში პირველი „საფეხბურთო“ მარკა 1935 წელს გამოიცა. 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მარკების რაოდენობით რეკორდსმენი გახდა კსდრ — 20 პლუს 7 ბლოკი. ცნობილია სხვა რეკორდებიც: 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოიცა სამი მარკა, აქედან ორზე აკრძალული ილეთებია: პირველზე — ფეხბურთელ რაშის ბუცი მოწინააღმდეგის სახეს ეხება, მეორე მარკაზე ასახულია, თუ რა საფუძვლიანად ეყრდნობა ფორვარდი მოწინააღმდეგის მხრებს და აწეული იდაყვით ემუქრება მეკარეს. მესამე მარკამ თითქმის საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია: ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეობისგან ინგლისურ მარკაზე გამოსახულია კსდრ-ის დროშა, რომელთანაც ინგლისს არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა. მარკების გაყიდვა შეწყვეტეს, მაგრამ ტირაჟის ნაწილი უკვე რეალიზებული იყო.

1974 წელს ჰოლანდიის ფოსტამ გამოუშვა ორიგინალური მარკა უბრალო წარწერით: „ჰოლანდია—ჩემპიონი“. მიუნხენში კი, ოლიმპიურ სტადიონზე, ჰოლანდიის გუნდმა წააგო ფინალური მატჩი მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან. შოკირებულმა ჰოლანდიელებმა იქვე გაანადგურეს საფოსტო მარკები.

ფილატელისტები განაცვიფრა არგენტინის ფოსტამ. ამ ქვეყანამ 1978 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორის უფლებით ისარგებლა და იქ გამოიცა 18 მარკა და 2 ბლოკი.

ეროვნული ნაკრებების გამარჯვება ფოსტას დიდ შემოსავალს აძლევს. ამ მხრივ, რეკორდი კვლავ არგენტინას ეკუთვნის, სადაც მექსიკის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დიდი ტირაჟით გამოვიდა მარკების სერია ბილარდოსა და მისი გუნდის გამოსახულებით, ინგლისელებთან მატჩში მარადონას სოლისებური გასვლით — ფინალური მატჩის ეპიზოდით გფრ-ის გუნდთან. და ბოლოს, არგენტინელი „ინჩასებისათვის“ საყვარელი დიეგო მსოფლიო ჩემპიონის თასით ხელში.

ალბათ, შორს არაა ის დრო, როცა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში, რომელსაც მიეძღვნება მრავალი ქართული მარკა თუ ბლოკი.

მოამზადა
ნოდარ ბესელაშვილმა

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

16 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-15 ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

დნეპროპეტროვსკში შედგა ლიდერთა მატჩი. ადგილობრივმა „დნეპრმა“ მიიღო მოსკოვის არმიელთა გუნდი. თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2. სხვა შეხვედრათა შედეგები: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:2, „დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „არარატი“ (ერევანი) 1:1.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

14 ივლისს დამთავრდა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების **პირველი წრე. გთავაზობთ სატურნირო ცხრილს:**

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	19	12	5	2	44-16	29
„მეტალ.“	19	9	8	2	20-8	26
„დინ.“ სტ.	19	11	3	5	27-18	25
„ფახთაქ.“	18	10	4	4	34-22	24
„ლოკ.“ მ.	18	9	5	4	23-12	23
„შინიკი“	19	9	5	5	27-20	23
„ნისტრუ“	19	7	7	5	23-24	21
„როსტს.“	19	7	6	6	21-24	20
„კოტაიკი“	19	6	8	5	18-17	20
„ნეფთჩი“	19	6	7	6	30-26	19
„დინ.“ სხ.	17	7	4	6	10-12	18
„ფაკელი“	19	7	3	9	20-23	17
„გეოლოგი“	19	5	7	7	16-22	17
„კაირ.“	18	6	4	8	21-24	16
„ზენიტი“	19	5	5	9	20-23	15
„ტავრია“	19	2	11	6	13-16	15
„ლოკ“. გ.	19	3	8	8	16-26	14
„ტირასი“	19	3	7	9	12-28	13
„კუზბასი“	18	2	5	11	9-21	9
„ყუბანი“	17	2	4	11	6-28	8

ერთიანდებიან...

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ წამოაყენა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საფეხბურთო ლიგასთან სწრაფი ტემპით გაერთიანების გეგმა, რომლის თანახმადაც, უკვე 1991 წლიდან მოეწყობა მთლიანი გერმანიის ჩემპიონატი, ხოლო 1992 წლის ევროპის პირველობაზე და ბარსელონის ოლიმპიურ ტურნირზე გამოვა გაერთიანებული გერმანიის გუნდი.

ორი საფეხბურთო ორგანიზაციის სხდომა გაიმართა მაინის ფრანკფურტში, სადაც დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰერმან ნოიბერგერმა განაცხადა, რომ პოლიტიკური ვითარებანი ახლა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ გერმანიის ორივე სახელმწიფოს გაერთიანება, ალბათ, უკვე წლეულს დეკემბერში მოხდება, ამიტომაც საფეხბურთო ლიგების გაერთიანებაც საჭიროა არა 1992 წელს, როგორც ადრე იყო ნავარაუდევი, არამედ ერთი წლით ადრე.

ჰ. ნოიბერგერის აზრით, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს შორის წლეულს 21 ნოემბერს უნდა გაიმართოს როგორც ამხანაგური თამაში.

სამართალს ეძებენ

ბრიტანელ გულშემატკივართა ჯგუფმა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის სხვადასხვა დარღვევისთვის გააძევეს იტალიიდან მსოფლიო ჩემპიონატის დროს, მოითხოვა საქმის სასამართლო გარჩევა. გულშემატკივართა შეხედულებით, იტალიის პოლიცია მათ მიმართ უკანონოდ მოიქცა.

მომჩივანებს მხარს უჭერს ლეიბორისტთა კაბინეტის სპორტის მინისტრი დენის ჰოუელი, რომელმაც განაცხადა: „მიმაჩნია, რომ იტალიიდან გაძევებულ გულშემატკივართა 80 პროცენტს კანონის საწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია, ამიტომაც ამ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს საკუთარი პატიოსანი სახელის დაცვის საშუალება უნდა მიეცეს“. დ. ჰოუელის რჩევით და მხარდაჭერით, გულშემატკივრებს განზრახული აქვთ მიმართონ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ კომისიას და ევროპარლამენტს.

ჯაჯი ექიშკეგა მარადონას

ცნობილმა რუმინელმა ფეხბურთელმა გეორგ ჰაჯიმ, რომელსაც „კარპატების მარადონას“ უწოდებენ, გადაწყვიტა არაფერი დაუთმოს განთქმულ არგენტინელ ფეხბურთელს არა მარტო სათამაშო მინდორზე... ამიტომაც თავის ქორწილზე, რომელიც ქალაქ კონსტანცაში შედგება, მოიწვევს დაახლოებით 1000 სტუმარს.

სწორედ ამდენი სტუმარი ჰყავდა დიეგო მარადონას შარშან თავის ქორწილზე ბუენოს-აირესში.

სკილაჩის საპატივცემულოდ

სალვატორე სკილაჩის თაყვანისმცემელთა რიცხვი მატულობს. მათ შორისაა ცნობილი მთამსვლელი, მსოფლიოს თოთხმეტივე 8-ათასიანი მწვერვალის დამპყრობი რეინჰოლდ მესნერი. მესნერს მთებში ჰყავს იაკების ჯოგი, რომლითაც ძალზე ამაყობს. ახლახან ამ ჯოგს ახალი ბინადარი შეემატა და მესნერმა მას საყვარელი ფეხბურთელის საპატივცემულოდ „სკილაჩი“ დაარქვა.

ცდუნებას ვერ გაუძლეს

დღიდან „გაჩენისა“ რაგბი-15 მხოლოდ და მხოლოდ სამოყვარულო სპორტის სახეობაა. ახლა ახლაც, მაგრამ ამ დიდებულ თამაშს მოგვანებით ხერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა პროფესიული, ე. წ. ლიგის რაგბის, სხვანაირად რაგბი-13-ის სახით. დიდი გასამრჯელოს საფასურად რაგბი-13-ში „გადაბარგდა“ ბევრი ცნობილი მოთამაშე, რომელთა არაოფიციალურ „ეკარად“ ეტყო სამოყვარულო რაგბის. მიუხედავად ასეთი დანაკარგებისა, რაგბი-15 კვლავ რჩება რაგბის ჭეშმარიტი გულშემატკივრების სათაყვანებელ თამაშად.

„ხუთი ერის თასის“ 1989 წლის გათამაშებას წინ უძღოდა ერთობ სამწუხარო ცნობა: მსოფლიოს უძლიერესი გარე ნახევარმცველი, უელსის ნაკრების კაპიტანი ჯონათან დევისი გამოეთხოვა სამოყვარულო რაგბის. მან ხელი მოაწერა იმ დროისთვის სარეკორდო კონტრაქტს პროფესიულ კლუბთან. დევისი შეაფასეს 250 ათას გირვანქა სტერლინგად (450 ათასი დოლარი).

უელსში, სადაც რაგბი ჭეშმარიტად ეროვნული ფენომენია, დევისი გულშემატკივართა კერპი გახლდათ. და, აი, კერპმა ვერ გაუძლო ცდუნებას, დახარბდა დიდ გასამრჯელოს და გაემგზავრა ჩრდილოეთ ინგლისში. უელსი ყველაზე პოპულარული და ავტორიტეტიანი სპორტსმენის გარეშე დარჩა.

დევისმა ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა რაგბი-15-თან და მშობლიურ კლუბ „ჰლანელისთან“, სანაცვლოდ თავისი ტექნიკით გააძლიერა ლიგის რაგბი და ჩეშირის საგრაფოს ქალაქ უოდნესის პროფესიული კლუბი. რომელიც განთქმულია აგრესიული სათამაშო სტილითა და სიმდიდრით.

„ეს იყო ყველაზე ძნელი გადაწყვეტილება ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე“ — განაცხადა. დევისმა, რომელმაც 27 ტესტ-მატჩში დაიცვა უელსის ნაკრების ღირსება და რამდენჯერმე დასახელებული იყო მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში.

ბრიტანული პრესა სინანულითა და კრიტიკით შეხვდა დევისის ამ გადაწყვეტილებას.

„ყველაზე ნათელმა სხივმა დასტოვა უელსის რაგბის მოყვნები“. — წერდა ლონდონის „დეილი ექსპრესი“.

„ჯონათან დევისი დახარბდა ჩრდილოურ ოქროს, ჩვენი რაგბის კავშირი კი უკვე დანაკლისის თვლაშია“ — დასძენდა „უესთერნ მეილი“.

დევისი არ გახლავთ არც პირველი და არც უკანასკნელი უელსელი ვარსკვლავი, რომელმაც სამოყვარულო რაგბი მიატოვა: 1952 წლიდან დევისის ამ ნაბიჯამდე პროფესიონალის სტატუსი მიიღო უელსის ნაკრების თხუთმეტმა წევრმა, დღესდღეობით კი პროფესიონალი გახდა ეროვნული ნაკრების კიდევ შვიდი მოთამაშე, თუმცა ნიჭითა და შემართებით ვერც ერთი მათგანი დევისთან ვერ მოვა.

ცნობილი რაგბის მემუარისტი ჯ. კენედი წერს: „დევისი ის ახალგაზრდა გახლდათ, რომლისაც ხალხს სჯეროდა. იგი იყო უდიდესი იმპროვიზატორი... ბევრ მოთამაშეს ეშინია, არ დაუშვას შეცდომა და არ დაჰკარგოს ადგილი გუნდში. ჯონათანს ეს შიში არასოდეს ჰქონია, მოედანზე იგი ცდიდა და აკეთებდა ყველაფერს. ასეთი დიდი დანაკლისი უელსის რაგბის ჯერ არ განუცდია“.

სამწუხაროდ, დევისის მაგალითს ბევრი მორაგბე ბაძავს. მაისში ერთბაშად ორი „ვარსკვლავი“ დაკარგეს ახალზელანდიელებმა. 1989 წლის მსოფლიო საუკეთესო მოთამაშემ ჯონ გალაჰერმა და მისმა თანაგუნდელმა ჯონ შუსტერმა ხელი მოაწერეს კონტრაქტებს ინგლისის კლუბებთან. აღსანიშნავია, რომ გალაჰერი, მართლაც ზოგიერთ თანხად შეფასდა — 400 ათასი გირვანქა.

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წევრმა ალენ კარმინატმა, რომელიც ირბ-ს მიერ სექტემბრამდე იყო დისკვალიფიცირებული, აღარ დაუცადა დათქმული ვადის გასვლას და საფრანგეთის ერთ-ერთ პროფესიულ კლუბში გადავიდა.

ერთი სიტყვით, სამოყვარულო რაგბისა და მისი გულშემატკივრებისათვის ეს სამწუხარო ტენდენცია გრძელდება.

მერაბ რატიშვილი

15 ეტაპის შემდეგ

პარიზი. „ტურ დე ფრანსის“ მეთხუთმეტე ეტაპი ფრანგმა ველოსიპედისტმა შარლ მოტემ მოიგო. 170 კილომეტრიანი დისტანცია (მილაუდან — რეველმდე) მან 4:13.56-ში დაფარა, რაც საშუალოდ საათში 40,168 კილომეტრს შეადგენს. გამარჯვებულს 2,02 წუთით ჩამორჩა ცხრაკაციანი ჯგუფი, რომელშიც იყო ლენინგრადელი ვიაჩესლავ ეკიმოვიც (მესამე ადგილი). მას ოდნავ გაუსწრო იტალიელმა ჯუზეპე კიალჩატერამ და ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა.

ტაშკენტელმა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვმა გამარჯვებულთან წააგო 3 წუთი და 15 წამი. იგი მეთვრამეტე ადგილზე გავიდა. დიმიტრი კონიშევს (გორკი) 21-ე შედეგი ჰქონდა.

თხუთმეტი ეტაპის ჯამში დაწინაურებულთა სამეულში ასეთი მდგომარეობაა: 1. კლაუდიო ჩაპუჩი (იტალია) — 62:20.47, 2. ერიკ ბრუინკი (ჰოლანდია) — ლიდერს 1,52 წამით ჩამორჩება, 3. გრეგ ლემონდი (აშშ) — სხვაობა 2,24 წუთი. საბჭოთა ველოსიპედისტების შედეგები: 36-ე ადგილი — დიმიტრი კონიშევი (30,03 წუთი), 48-ე ადგილი — პიოტრ უგრიუმოვი (41,17 წუთი), 67-ე ადგილი ვიაჩესლავ ეკიმოვი (58,21 წუთი).

მეასე „გრან პრი“

მსოფლიო ჩემპიონატის მე-7 ეტაპი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში „პოლ რიკარის“ ტრასაზე გაიმართა; გათამაშდა საფრანგეთის 76-ე „გრან პრი“.

საკვალიფიკაციო რბოლა „ფერარის“ და „მაკლარენის“ პაექრობით აღინიშნა. ნაიჯელ მენსელმა თავისი მე-13 საწვრთნელი რბოლა მოიგო.

სტარტიდან პირველი „წავიდა“ მენსელი. მას მიჰყვნენ ბერგერი და სენა და მალე „მაკლარენის“ პილოტებმა გაუსწრეს მენსელს. დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგ ბერგერმა და სენამ საბურავები გამოცვალეს. ბრაზილიელმა პილოტმა ამის გამო ლიდერობა დაკარგა. დაწინაურდა კვლავ ნაიჯელ მენსელი, მაგრამ ცოტა ხნით, რადგან „ფერარის“ ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და ინგლისელმა პილოტმა რბოლა შეწყვიტა.

დაწინაურდა ივან კაპელი. ფინიშამდე ორი წრით ადრე კი ალენ პროსტმა გაუსწრო თავის მეტოქეს და 42-ე „გრან პრი“ მოიგო. ეს „ფერარისთვის“ მე-100 გამარჯვება იყო. შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპი ამ ფირმის წარმომადგენელმა არგენტინელმა ფროილან გონზალესმა მოიგო 1951 წლის 14 ივლისს ინგლისში, „ბრენდს პეტჩის“ ტრასაზე.

ალენ პროსტმა მთელი დისტანცია გაიარა 1 საათში, 33 წუთსა და 29,606 წამში, განავითარა საათში 196 კმ სიჩქარე. დაჯილდოებისას მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში პროსტმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ჩემპიონობის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ სურდა მეასე „გრან პრის“ მოგება „ფერარისთვის“. როგორც ხედავთ, ალენ პროსტმა თავის სიტყვა შეასრულა.

ეტაპის საბოლოო შედეგი:

1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 9; 2. ივან კაპელი (იტალია, „მარჩ-ჯადი“) — 6; 3. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 4; 4. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) — 3; 5. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 2; 6. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო“) — 1 ქულა.

მდგომარეობა 7 ეტაპის შემდეგ:

1. აირტონ სენა — 35; 2. ალენ პროსტი—32; 3. გერჰარდ ბერგერი — 25; 4. ნელსონ პიკე — 16; 5-6. ჟან ალერი, ნაიჯელ მენსელი — 13-13; 7. ტიერი ბუტსანი — 11; 8. რიკარდო პატრეზე — 10; 9. ალესანდრო ნანინი — 7; 10. ივან კაპელი — 6; 11-12. სტეფანო მოდენა, ალექს კაფი — 2-2; 13-15. სატორუ ნაკაჰმა, ერიკ ბერნარი, დერეკ უორვიკი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი“ — 60; 2. „ფერარი“ — 45; 3. „ბენეტონი“ — 23; 4. „უილიამსი“ — 21; 5. „ტაილერი“ — 14; 6. „მარჩი“ — 6; 7-8. „ბრებემი“, „ეროუზი“ — 2-2; 9-10. „ლოტუსი“, „ლოლა“ — თითო ქულა.

დავით ჩუბინიძე.



მათს ვილანდერის ოუულოდნელი მეტამორფოზა

„მუზარადის“ ოთხი ტურნირიდან სამში გაიმარჯვა და, მსოფლიო კლასიფიკაციით, პირველი ჩოგბურთელი გახდა.

ვილანდერი დაიბადა 1964 წლის 22 აგვისტოს სამხრეთ შვეიცარიაში მდებარე პატარა სამრეწველო ქალაქში ვიოკში. ჰყავს ორი უფროსი ძმა. ჩოგბურთის თამაში ექვსი წლის ასაკში დაიწყო ავტოსადგომზე, იმ ქარხნის მახლობლად, სადაც მუშაობდა მამამისი, რომელმაც ასფალტზე დაუხაზა კორტი.

მათსის პირველი მწვრთნელი კურტ მაგნუსენი იხსენებს, რომ მომავალი „ვარსკვლავი“ თავმდაბალი, ყოველგვარ პატივმოყვარეობას მოკლებული ბიჭი იყო. „იგი ზუსტად იმდენს ვარჯიშობდა, რამდენიც საჭიროა, მაგრამ ყოველდღიურად ცოტათი მაინც იზრდებოდა მისი ოსტატობა“, თერთმეტი წლის რომ გახდა, მათსმა მოიგო ეროვნული ჩემპიონატი ბიჭებს შორის. ჩოგბურთის გარდა, გატაცებული იყო გოლფითა და ჰოკეით. გოლფი ერთხანს სპორტის ყველა სხვა სახეობაზე მეტად უყვარდა, ხოლო მისი ძმები ახლაც თამაშობენ ჰოკეის შვეიცის მეორე ლიგის გუნდებში.



— არ ვიცი, რა მემართება, — განაცხადა ამას წინათ მათს ვილანდერმა, — მაგრამ თამაშისადმი ყოველგვარი ინტერესი დავკარგე. და საერთოდ, მომბეზრდა ყველაფერი, რაც ჩოგბურთთთან არის დაკავშირებული. გადავწყვიტე, ერთი წლით დავისვენო ამ დაუსრულებელი ტურნირებისგან, მინდა ვირწმუნო. რომ ეს შვებულება ჩოგბურთში დამაბრუნებს.

ასე დასრულდა წარუმატებლობათა მთელი შარშანდელი წლის მანძილზე გაჭიმული ჯაჭვი. „მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ჩოგბურთელად მიჩნეულმა ვილანდერმა 1989 წელს „გრან-პრის“ სერიის ვერც ერთი ტურნირი ვერ მოიგო“—ეს ცნობა, თუკი სპორტსმენის კლასს გავითვალისწინებთ, უაზრო შემთხვევითობად, ბედის დაცინვად მოგვეჩვენება. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1988 წელს მათს ვილანდერმა „დიდი მუზარადის“ ოთხივ ტურნირიდან სამში გაიმარჯვა და, მსოფლიო კლასიფიკაციით, პირველი ჩოგბურთელი გახდა.

ვილანდერი დაიბადა 1964 წლის 22 აგვისტოს სამხრეთ შვეიცარიაში მდებარე პატარა სამრეწველო ქალაქში ვიოკში. ჰყავს ორი უფროსი ძმა. ჩოგბურთის თამაში ექვსი წლის ასაკში დაიწყო ავტოსადგომზე, იმ ქარხნის მახლობლად, სადაც მუშაობდა მამამისი, რომელმაც ასფალტზე დაუხაზა კორტი.

მათსის პირველი მწვრთნელი კურტ მაგნუსენი იხსენებს, რომ მომავალი „ვარსკვლავი“ თავმდაბალი, ყოველგვარ პატივმოყვარეობას მოკლებული ბიჭი იყო. „იგი ზუსტად იმდენს ვარჯიშობდა, რამდენიც საჭიროა, მაგრამ ყოველდღიურად ცოტათი მაინც იზრდებოდა მისი ოსტატობა“, თერთმეტი წლის რომ გახდა, მათსმა მოიგო ეროვნული ჩემპიონატი ბიჭებს შორის. ჩოგბურთის გარდა, გატაცებული იყო გოლფითა და ჰოკეით. გოლფი ერთხანს სპორტის ყველა სხვა სახეობაზე მეტად უყვარდა, ხოლო მისი ძმები ახლაც თამაშობენ ჰოკეის შვეიცის მეორე ლიგის გუნდებში.

ვილანდერის კიდევ ერთი გატაცებაა. გიტარაზე დაკვრა, როკ-კომპოზიციები (სწორედ ამით ფიქრობს ახლა თავის შექცევას „შვებულების“ დროს მათსი: „რამდენსაც მინდა იმდენს ვიკითხავ, დავუკრავ ჩემს საყვარელ გიტარაზე. მერე კი, ვნახოთ, იქნებ კორტიც მომენატროს“).

მათს ვილანდერი საჩოგბურთო სამყაროში 1982 წელს შეიჭრა, როდესაც 17 წლის ასაკში საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე გაიმარჯვა (მხოლოდ სამი წელი დასჭირდა, რათა მსოფლიო კლასიფიკაციაში 283-ე ადგილიდან მეოთხეზე გადასულიყო). ამავე ტურნირზე მოიპოვა ვილანდერმა უაღრესად პატიოსანი სპორტსმენის რეპუტაცია—ნახევარფინალში, ოზე ლუი კლერის წინააღმდეგ თამაშისას, უარი თქვა მსაჯის მიერ შეცდომით მინიჭებულ ქულაზე. სეტი გაიმეორეს და იგი მათსმა მოიგო.

აი, ვილანდერის შემდგომი წარმატებების ნუსხა: 1983 და 1984 წლებში გაიმარჯვა ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, 1985 წელს — საფრანგეთის ღია ჩემპიონატში. 1983 და 1984 წლებს მათსი მსოფლიო კლასიფიკაციით მეოთხე ჩოგბურთელად ამთავრებს, 1985, 1986 და 1987 წლებში მესამეა.

ვილანდერის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ამ პერიოდში შვეიცის ნაკრებმა სამჯერ მოიგო დევისის თასი. „მათსი პრაქტიკულად არ უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს“,— ამბობდა მისი თანაგუნდელი იოაკიმ ნიუსტრომი.

პირველ ჩოგბურთელობამდე ერთი ნაბიჯი რჩებოდა. და მაინც, იმდროინდელ ინტერვიუებში ვილანდერი ცდილობს დაფაროს, თუ რა ძალით დაუფლებია მის არსებას პირველობის სურვილი (ეს მხოლოდ შემდეგ გაირკვა, როცა მათსმა მიზანს მიაღწია). იგი აღნიშნავს, რომ ბუნებით ზარმაცია, რომ ჩოგბურთი მისთვის, უწინარეს ყოვლისა, სასიამოვნო გასართობია („მართალია, რომ მიდრეკილება მაქვს სიზარმაცისადმი. შემიძლია მთელი დღე არაფერი ვაკეთო. ეს ჩვევა ბევრ შვედს ახასიათებს. „ჩვენში ძალიან ხანგრძლივი ზამთარი იცის, რომელიც აპათიას იწვევს“. ყრმობის გახსენებისას კი იგი ამბობს: „მწვრთნელებს უამრავი პრეტენზია ჰქონდათ ჩემდამი, მაგრამ იძულებისთვის არასოდეს მიუმართავთ. ალბათ ამიტომაა, რომ ჩოგბურთი დღესაც სიამოვნებას მანიჭებს. ბავშვობაში ძალა რომ დაეტანებინათ, სპორტს მივატოვებდი“). ხოლო პირდაპირ დასმულ კითხვაზე — პირველ ჩოგბურთელად გახდომა თუ გსურთო, — ვილანდერმა ასე უპასუხა:

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ცხადია, კარგი იქნებოდა. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ვყოფილიყავი, მაგრამ ასეთ მიზანს არ ვისახავ. არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც მზადაა ყველაფერი გააკეთოს, ოღონდ საუკეთესო გახდეს. ვიცი, რომ ზოგიერთი ჩოგბურთელი დღეში რამდენიმე ათეულ კილომეტრს გარბის, მკაცრ დიეტას იცავს, რათა უმაღლეს დონეზე შეინარჩუნოს სპორტული ფორმა. უეჭველია, ისინი პატივისცემას იმსახურებენ, მაგრამ მე თვითონ ასეთი მეთოდებისთვის არ გამოვდგები. ჩემთვის მთავარია ყველაფერი — თამაშიცა და ვარჯიშიც — სიხარულს მანიჭებდეს.

1988 წელს მათს ვილანდერმა გაიმარჯვა „დიდი მუზარადის“ სამ ტურნირში (ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატებში) გაუსწრო ბოლო წლების უცვლელ ლიდერს, ივან ლენდლს, და მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი გახდა... 1989 წელს კი ვილანდერმა „გრან-პრის“ სერიის ვერც ერთი ტურნირი ვერ მოიგო. წაგებებისადმი მისი დამოკიდებულება სრული გულგრილობიდან ხელმოკარვის მტკივნეულ განცდამდე მერყეობდა.

იმ წელს, უკვე უიმბლდონის ტურნირის დაწყებისას იგი მსოფლიო კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილამდე დაეშვა, მაშინ როცა, მისმა მეტოქემ იმდენი ქულა მოაგროვა, რომ ერთმა ამერიკელმა სპეციალისტმა პირქუშად იხუმრა: „ივან ლენდლი ოთხი თვითაც რომ ჩავარდეს კომაში, როდესაც გონს მოვა ისევ მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი იქნება“. 1989 წლის ოქტომბერში ვილანდერი საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულშიც კი აღარ შედიოდა— მეთხუთმეტე საფეხურზე გადაინაცვლა.

„პირველი ჩოგბურთელის ზემოთ ვეღარსად წახვალ, ისღა დაგრჩენია თავქვე დაეშვა. ეს ყველამ იცის, მაგრამ საშინელებაა, როცა ყველაფერს საკუთარ ტყავზე გამოცდი“, — დაიჩივლა ვილანდერმა.

წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა კლიფ დრისდეილმა კი ასე ახსნა მისი მოულოდნელი მეტამორფოზა: „მოთამაშე, რომელიც მთელ თავის შინაგან ენერგიას პირველი ადგილის დაკავებას შეალევს, დიდხანს ვერ შეინარჩუნებს უმაღლეს დონეს. ფიზიკურად ვილანდერს კიდევ ძალიან დიდხანს შეუძლია ითამაშოს, ფსიქოლოგიურად კი იგი ქანცგაწყვეტილია. სამწუხაროა — მათს ვილანდერი დიდი ჩოგბურთელი იყო, ახლა კი კაცმა არ იცის როგორ წარიმართება მისი ბედი“.

პუბლიკაცია მოამზადეს ზაზა კვერცხიშვილმა და კობა ბრეგვაძემ.

კალეიდოსკოპი

როდენი ოლიმპიურ მუზეუმში

ლოზანის ბანკირთა ჯგუფმა ოლიმპიურ მუზეუმს საჩუქრად გადასცა ცნობილი ფრანგი მოქანდაკის როდენის ნამუშევარი — „ამერიკელი ათლეტი“.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა მადლობა მოახსენა ბანკირებს ასეთი ძვირფასი ძღვენისთვის. მან თქვა, რომ ოლიმპიურ მუზეუმს დაამშვენებდა ხელოვნების კორიფეთა სხვა, სპორტულ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრებიც. სოკ-ის საინფორმაციო ბიულეტენში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ სულ მალე ოლიმპიური მუზეუმი კიდევ ორ ახალ ძღვენს მიიღებს. ინფორმაციაში არ არის აღნიშნული, თუ სახელდობრ რაზეა ლაპარაკი,

მუოგიაროგის შემდეგ

ცნობილი გერმანელი მძლეოსანი, 25 წლის ჰაიკე დრექსლერი დაბრუნდა სპორტში. შესვენება გამოწვეული იყო იმით, რომ იგი რვა თვის წინ დედა გახდა. მშობიაობიდან ორი თვის შემდეგ ჰაიკემ დაიწყო ვარჯიში და სულ მალე აღიდგინა სპორტული ფორმა. ამას წინათ საერთაშორისო შეჯიბრებაში მან სიგრძეზე ხტომაში 704 სანტიმეტრი დაძლია და პირველი ადგილი დაიკავა.

ჰაიკე, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა. სპორტში დაბრუნება მან შეძლო მას შემდეგ, რაც დასავლეთგერმანელი სპორნსორის სახით საიმედო პატრონი იშოვა. დრექსლერი თანაუგრძნობს აღმოსავლეთ გერმანიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. იგი დარწმუნებულია, რომ გდრ-ის მთავრობა ჩვეულ დახმარებას ვეღარ გაუწევს განსაკუთრებით ცნობილ სპორტსმენებს, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ აშინებს. ჰაიკეს აზრით, სპორტსმენი, თუ იგი მართლაც წარმოადგენს რამეს, დასავლეთგერმანიაში იოლად იპოვის სპონსორს.

„სპორტპროგნოზი“

28-ე ტირაჟის შედეგები
(13-14 ივლისი)

1—1, 2—X, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—X, 10—X, 11—X, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„C-6“ სპეციტირაჟში მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების მფლობელებმა, რომელთა ბილეთების ნომრებია 223364 (სერია 009), 523893 (სერია 006), 320278 (სერია 007), 251770 (სერია 010), 960315 (სერია 005), მოიგეს ავტომაქანა „ვოლგა“ გაზ 24-10 ურიგოდ შეძენის უფლება.

აქვე გაცნობებთ, რომ „C-6“ სპეციტირაჟში მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების გათამაშებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 52-მა ბილეთმა, რომლებშიც სწორად იყო გამოცნობილი მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტები. მათგან ერთ ბილეთს, რომლის ნომერია 523893 (სერია 006) წილად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ 24-10 ურიგოდ შეძენის უფლება. ბილეთის მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

საქართველოს სპორტსახკომის ჟიდაობის ექსპერიმენტული რესპუბლიკური გაერთიანების დირექცია იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

პავლე ფარნაოზის ძე ოდიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივანი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779